# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | უგზავნელად: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | 7 მან. | 6 |
| ნახევრის წლისა | 4 — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | 2 მ. 50 კ. | 2 — |

## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.**

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

**№ 27.** სამშაბათი. I. 3 სეკტემბერს **1868** წ.

**შინაარსი:** გაბრიელ ეპისკოპოზის სიტყვა.—სამღრთო ისტორია.—სხვა და სხვა გვარი მძეხვის გაკეთება.—კორრესპონდენცია ზუგდიდიდგან.—მარგალიტის დაჭერა კალიფორნიაში.—სხვა და სხვა ამბავი.—ლექსი: ირლანდელი ჭირი.

## სიტყვა.

### თქმული გაბრიელ ეპისკოპოსისამიერ ქუთაისის-მთავარ-ანგელოზის ეკლესიასა შინა

> მართალნი სწყალობენ სულსა ცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო (იგავი სოლ. იბ, ი.)

სოლომონ ბრძენი, მეფე ურიათა, წიგნსა შინა მისსა იგავთასა, სხვათა შორის მშვენიერთა დარიგებათა, სწერს ამ დარიგებასაც: *მართალნი სწყალობენ სულსა ცხოვართასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო*, ესე იგი, კაცი მართალი და კეთილი სწყალობს ცხოვართა, ანუ საქონელსა: მას ებრალება იგინი; ხოლო კაცი უკეთური და ბოროტი არის უწყალო პირუტყვთა, ანუ შინაურ საქონელთან.

ძმანო ჩემნო ქრისტიანენო! დღეს მე მსურს მოგელაპარაკო ამ საგანზე; მსურს აღგიხსნა ის ზნეობის სწავლა, რომელსა გვაძლევს ჩვენ სოლომონ ბრძენი ამ სიტყვებში, რომელიც ახლა მოვიყვანეთ; ესე იგი: როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი მის საქონელთან და როგორ უნდა უვლიდეს მას. თუ ვინმე იფიქრა: ეს საგანი არის მცირე და არა შესაფერი ამ წმიდა ადგილისა, მას მე ვუპასუხებ: თუ მცირე იყოს იგი და შეუსაბამო, დიდი, ბრძენი და წარჩინებული მეფე სოლომონ არ ახსენებდა მას წიგნსა შინა მისსა; ვინც ფიქრობს, რომ ამ საგანზე არა ღირს უბნობა ეკკლესიაში, მას უთუოთ არ უნახავს, რა უწყალოთ ეპყრობიან ჩვენში პირუტყვთა; მას არ უფიქრია, რა დიდი ვნება გამოდის იქიდგან და რა წინააღმდეგია კეთილისა და ქრისტიანულისა ზნეობისა უწყალო მოქცევა საქონელთან.

მართლა, ჩვენ ქვეყანაში დაბალი ხალხი ერთობ უწყალოდ და უგვანოდ ეპყრობა საქონელსა. ვისაც ყურადღება მიუქცევია ამ საგანზედ, კი იცის რა გამხდარი, უღონო, გაფუჭებული, დაცემული არის ჩვენ ქვეყანაში შინაური პირუტყვი; ეს მისთვის, რომელ ჩვენ ქვეყანაში ყოველგან საქონელს ინახავენ ცუდათ, საჭმელს არ აძლევენ საკმაოდ, ეპყრობიან უწყალოდ და სასჯელსა და შრომასა უზომოდ მიაყენებენ მათ. ზამთარში დამშეული და გამხდარი პირუტყვი გაზაფხულის პირზედ ისრეთ არის შეწუხებული, რომ ძლივს დადის; გარნა მაშინვე შეაბამენ უღელში და თუ კარგად არ იმუშავა—უწყალოდ სცემენ. ხშირად ნახავ ქალაქში და სოფელში, რომელ, როდესაც უღონო, უჭმელი ხარი ვერ ზიდავს ურემსა, მაშინ მისი პატრონი, თითქოს გაცოფებული, უწყალოდ სცემს და ჰკლავს მას. მერმე დაუკვირდი და შეხედე მის უგნურებას! იგი სცემს უბედურ პირუტყვს თავში და თვალებში და ხშირად თვალებს და სხვა ასოებს უხდენს. მერე როგორ ეპყრობიან აქაურნი მხედარნი თვისთა ცხენთა, ამას კაცის ენა ვერ გამოთქვამს! ზოგი ერთი უგნური აქაური მხედრი ერთ შეჯდომაზე ისე გააფუჭებს კარგს ცხენს, რომ ერთ წელიწადს აღარ გამოდგება, თუ სრულად არ მოკვდა. რომელსაც გონიერი და ჭკუიანი კაცი ათსა და ოცს წელიწადს კარგად იხმარს და ისარგებლებს, იმას ჩვენებური კაცი ერთს წელიწადს გაათავებს. ერთხელ ერთმა გადარეულმა აზნაურიშვილმა, როდესაც მისმა უჭმელმა და გატანჯულმა ცხენმა ველარ შეიძლო კარგათ გაქცევა აღმართზე, ჩამოხტა, სატევარი ჰკრა მას მუცელში და მოკლა. აჰა, რა გონიერი ჩვეულება გვაქვს ჩვენ! ახლაც იტყვი, რომ საჭირო არიყოს ამ საგანზედ მოძღვარმა მოგცეს დარიგება?

*მართალნი სწყალობენ ცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო.* ამ სიტყვებიდგან ისწავლე, ძმაო ჩემო, რომ უწყალოდ მოგცევა პირუტყვთან არის ცოდვა. შენ იქნება გაგაკვიროს ამ სიტყვამ; შენ უთუოთ ისრე ფიქრობდი, რომ როგორც-გინდა მოიქცე პირუტყვთან, ცოდვა არ არის; გარნა დაგჯეროს სიტყვამან სოლომონისამან, რომელ უწყალოდ მოგცევა პირუტყვთან ბოროტი კაცის თვისება და საქმე არის. მართლა, როდესაც შენ სცემ, აწვალებ, სტანჯავ პირუტყვსა ამით ცხადათ გამოაჩენ, რომელ შენ გა-

ქეს ცუდი ხასიათი, ბოროტი, ფიცხელი და უწყალო გული; თუ ბოროტი კაცი არ იყო, პირუტყვიც შეგეცოდებოდა; იფიქრებდი, რომ ცემა, უჭმელობა, ცუდათ მოვლა საქონელსაც ისე სტანჯავს, როგორც კაცსა. თუ გინდა, რომ პირუტყვმა კარგათ იმუშაოს და ცემა აღარ დაჭირდეს, კარგათ შეინახე და მოუარე.

მართალნი სწყალობენ სულთა ცხოვართა მათთასა, ხოლო ნაწლევნი ბოროტთა უწყალო. კეთილი და მოწყალე ადამიანი არა თუ მხოლოდ კაცს უნდა სწყალობდეს, არამედ პირუტყვსაც; საქონელი და პირუტყვი არის გატანჯული და წამხდარი მხოლოდ იმ ქვეყნებში და იმ ხალხში, სადაცა არ არის კეთილი ზნეობა, განათლება, სწავლა. გაგვიგონია მოგზაურთაგან, რომელთა უნახავთ განათლებული ევროპის ქვეყნები, რომელ მუნ მარტო შინაური პირუტყვის შეხედვა აჩვენებს კეთილს ზნეობას და განათლებასა ადგილის მცხოვრებთა, ვინაიდგან მუნ ყოველი საქონელი არის საკვირველად მოშენებული და გაკეთებული.

მაშასადამე რა ნაირათ უნდა ვეპყრობოდეთ ჩვენ პირუტყვთა? ისე, როგორც გვასწავლის ჩვენ სოლომონ ბრძენი. იგინი უნდა გვებრალებოდეს ჩვენ, კარგად უნდა ვუვლიდეთ და კარგათ ვინახავდეთ. ღმერთმან პირუტყვნი დაგვიმორჩილა ჩვენ და მოგვეცა ჩვენ მოსამსახურედ, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი: და მთავრობდეთ თევზთა ზღვათასა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა. გარნა ღმერთს ნება არ მოუცია ჩვენთვის, რომ ვსტანჯოთ პირუტყვი. შეგიძლია მოიხმარო პირუტყვი შენდა სასარგებლოდ, გარნა როდესაც სტანჯავ ამათ, სცოდავ ღვთის წინაშე. შემცდარი ხარ, თუ ფიქრობ, რომ ღმერთს მხოლოდ კაცი უყვარს და სხვათა ქმნილებათა, მისთა კი არ ზიხედავს. ღმერთი არის მამა საზოგადოდ ყოველთა მისთა ქმნილებათა. მართალია კაცი არის გვირგვინი ყოველთა ხილულთა მისთა ქმნილებათა; კაცი ღმერთს უყვარს უმეტესად ყოველთა; კაცის ნათესავის გამოხსნისათვის და განათლებისათვის ღმერთმან მხოლოდ შობილი მისი ძე მოავლინა ქვეყანად; გარნა ღმერთს მაინც არ იამება, რომ უფროსმა და უმჯობესმან მისმან ქმნილებამან, ესე იგი კაცმან, სტანჯოს და აწვალოს უმცროსნი მისნი ქმნილებანი—პირუტყვნი. შენ სახლში და ოჯახში უფროსმან შენმა შვილმან რომ სტანჯოს და აწვალოს უმცროსი შენი შვილი, უთუოთ გეწყინება და დაუშლი: მსგავსად ამისა ღმერთსაც ეწყინება და გიშლის ტანჯვას უმცროსთა მისთა ქმნილებათა.

ბოლოს თუ სხვა მიზეზი არ შეგაგონებს და არ გასწავლის პირუტყვთა მოწყალებასა, შენმა საკუთარმა სარგებლობამ უნდა გასწავლოს მათი შებრალება. რასახით? მით რომელ თუ საქონელს ყოველთვის უჯავრდები, სცემ, სტანჯავ, ამით ბოლოს თვით შენ გაგიფუჭდება ხასიათი და ზნე, მიეჩვევი ცოტ-ცოტათ გულ-ფიცხელობას, მოუთმენელობას, უსამართლოებას, ასე რომ ბოლოს პირუტყვისაგან ადამიანზედ გადიტან შენს გულ ფიცხელობას და გახდები ერთი ცუდი, გაუტანელი კაცი; ეს აზრი ჩვენგნით არ არის მოგონებული. ამას ამტკიცებს გამოცდილება. მრავალ გზის მომხდარა ისრეთი მაგალითი, რომელ კაცმა სიყმაწვილიდგან გაიფუჭა და წაიხდინა ზნე, მით რომელ უყვარდა ტანჯვა პირველად ფრინველების ბარტყებისა, მერმე წვრილის შინაურის პირუტყვებისა და ბოლოს იწყო ტანჯვა და გვემა კაცებისა, შთავარდა კაცის მკვლელობასა და დიდსა სასჯელსა შინა. მეორედ: როდესაც შენ საქონელი გებრალება და კარგად უვლი მათ, მაშინ იგინი დიდხანს გასძლებენ, კარგად მუშაობენ; მაშასადამე მომატებულს სარგებლობას გაძლევენ; და თუ კი ცუდათ უვლი და სტანჯავ, ვერც დიდხანს სძლებენ, ვერც კარგათ მუშაობენ, მაშასადამე თვით შენ სარგებლობა გაკლდება; შენ თვითონვე სჯი შენ თავს.

---

## საღმრთო ისტორია.

### 22. მოსე წინაშე ფარაონისა.

ერთხელ მოსე თავის ცხვრებს ქორივის მთის მახლობლად მწყსავდა და ნახა იქ ერთი ჯაგი, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ კი არ იწვოდა. გაკვირვებული მოსე მივიდა ახლო სანახავად და მოესმა იმ ჯაგიდგან ხმა, რომელიც ეძახდა იმას: „მოსე! მოსე!“ „რაო უფალო“ მიუგო იმან. ჯაგიდგან ისმოდა: „ნუ მოახლოვდები, ვინაიდგან ადგილი, რომელზედაც შენ სდგეხარ, წმინდა არს!„ ამას შემდეგ კვალად გამოისმა: „მე ვარ ღმერთი მამისა შენისა, ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა!“ —მაშინ მოსე აღივსო ღვთის სიყვარულით და მიიფარა პირზედ ხელი. ღმერთმა კვალად უთხრა: „მე ვხედავ ჩემი ხალხის შეწუხებას ეგვიპტეში და აწ მინდა განვათავისუფლო იგინი ხელთაგან ეგვიპტელთა და შევიყვანო ქვეყანასა შინა, სადა ჰდის რძე და თაფლი. წარვედ მუნ, რამეთუ წარგგზავნი შენ ფარაონთან, და გამოიყვანე ეგვიპტიდგან ხალხი ჩემი—ძენი ისრაელისა.“ ამ გვარი შეკვეთა ემძიმა მოსეს, ამის გამო უარი ჰყო ამაზედ: „მე რავარ, უფალო, რომ წარვსდგე ფარაონთან და გამოვიყვანო ძენი ისრაელისა!“—ღმერთმა უთხრა მას: „ნუ გეშინის, მე ვიქმები შენთანა.“— „ნუ თუ შემიწყნარებენ მე ძენი ისრაელისანი? უთხრა კვალად მოსემ,—მეტყვიან შენ უფლისაგან არა ხარო გამოგზავნილი“.—მაშინ ღმერთმა ჰკითხა მოსეს: „რა გაქვს შენ ხელში?“— „ყავარჯენი“ მიუგო მოსემ. „გარდააგდე მიწაზედ!“ მოსემ გარდააგდო და ყავარჯენი გარდაიქცა გველად. შეშინებული მოსე უკან გადმოხტა, მაგრამ უფალმა დაატანა: გაიწოდე ხელი და კუდზედ წაავლე!“ მოსემ აღასრულა უფლის ბძანება—და გველი მოსეს ხელში ისევ ყავარჯნად გარდაიქცა. ამას შემდეგ ღმერთმა უთხრა მოსეს: „უბეში ჩაიდე ხელი!“ მოსემ აღასრულა და რომ გამოიღო უბიდგან, ნახა რომ სულ დაბაყლებული ჰქონდა. შემდეგ ისევ ღვთის ბრძანებით ხელი კიდევ უბეში ჩაიდო და ისევ ისეთი კარგამყოფი გამოიღო, როგორიც წინად ჰქონდა. ღმერთმა უბრძანა მოსეს: „თუ ამ ორი ნიშნითაც არ დაგიჯერონ, მაშინ ამოიღე მდინარის წყალი, გადაღვარე დედამიწაზედ და სისხლად იქცევა„. მოსე მაინც ისევ უარსა ჰყოფდა: „ჰოი, უფალო, მე არა ვარ მჭევრმეტყველი, ამასთან ენითაც ბლუ ვარ„.—უფალმა მიუგო: „ვინ მიანიჭა კაცს ენა? ანუ ვინა ჰხდის მუნჯად და ყრუდ, ანუ მხედველად და ბრმად? ნუ თუ მე არავარ უფალი ღმერთი?! წადი: მე გავხსნი ბაგეთა შენთა და გასწავებ, რაცა უნდა სთქვა“. ბოლოს დაუმატა: „ძმა შენი აარონ მოგეგებება შენ, აუწყე მას სიტყვანი შენნი და იგი შენ მაგიერ ილაპარაკებს“. მაშინ დაემორჩილა მოსე. მივიდა რა ეგვიპტეს, მოსემ იპოვა თავისი ძმა აარონი; იმის დახმარებით მოაგროვა ისრაელის გვარის უხუცესნი და აუწყა მათ ღვთის სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეილი. შემდეგ მოსე და აარონი წარდგნენ ფარაონის წინაშე და უთხრეს მას: „ესრედ ბრძანებს უფალი ღმერთი ისრაელთა: დაითხოვე ჩემი ხალხი, რათა მომიტანოს მე მსხვერპლი უდაბნოში“. მაგრამ ფარაონმა უპასუხა: „ვინ უნდა იყოს ქვეყანაზედ ისეთი, რომელსაც შეეძლოს ჩემი ბრძანება. მე არა მყავს უფალი და არც ისრაელთ გაუშვებ სადმე“. ეს კიდევ არაფერი: ფარაონმა უბრძანა, რომ ისრაელთათვის უფრო მძიმე საქმე ეკეთებინებინათ. „ამ ხალხს საქმე არა აქვს, ამბობდა ის, ნულარ მისცემენ იმათ ნამჯას აგურის გამოსაწველად; თითონ მოკრიბონ; გარნა რაც აქამდის უკეთებიათ, კვლავაც იმდენივე უნდა წარმოადგინონ ხოლმე!“ მოსე მივიდა კიდევ ფარაონთან და იმის წინ თავის ყავარჯნით სასწაული მოახდინა: მაგრამ, რადგან ეგვიპტის მეცნიერებმაც მოახდინეს ისეთივე სასწაულები, ამის გამო ფარაონისთვის მოსეს სასწაულებს არა ვითარი ძალა არა ჰქონდათ. ამას შემდეგ ფარაონი უფრო განძვინდა; მაშინ ღმერთმა მოისურვა იმისი დასჯა საშინელი სასწაულებით; ეგვიპტის ხალხსა და ქვეყანაზედ ერთი უბედურება მეორეს მოჰყვა.

მოსემ შეახო თავის ყავირჯენი მდინარეს და მისი წყალი სრულებით სისხლად გადიქცა. მთელი კვირა ვერავის შეეძლო იმ მდინარის წყლის სმა და თევზებიცკი სრულებით გასწყდნენ შიგ. ეს იყო პირველი უბედურება.

მოსეს თქმით აარონმა გაიწოდა ხელი წყლებზედ და მთელი ეგვიპტე ბაყაყებით აივსო; ყველა ადგილს ფუფუნი გაჰქონდათ, ასე რომ ქვეშსაგებები და სამზარეულო ჭურჭელიც კი არ გარდაჩენიათ იმათ წაუპილწავად. მაშინ ფარაონმა შესთხოვა მოსეს: „ევედრე უფალს, რომ განაძეოს ჩემგან ბაყაყები და მაშინ მე განვათავისუფლებ თქვენს ხალხს“. მოსე ევედრა უფალს და ერთ დღეში სულ გასწყდნენ ბაყაყები, რომელნიც ისე ბევრნი იყვნენ, რომ ყველა სახლებიდგან ნიჩბებითა ჰხვეტავდნენ. რადგან ამათი ლეშისაგან საზარელი სუნი მოეფინა ეგვიპტეს, ამის გამო ფარაონი შეშფოთდა და ღვთის ხალხი თავის ქვეყნიდგან აღარ სად გაუშვა. მაშინ ეგვიპტეს მესამე უბედურება მოევლინა.

აარონმა დაჰკრა დედა მიწას თავისი ყავარჯენი და რაც მტვერი იყო—სულ მხამიან ბუზებად იქცა: ეს ბუზები აწუხებდნენ ხალხსა და პირუტყვსაც თვით მოგენი ამბობდნენ ამაზედ: „ღვთისაგან არს სასჯელი ესე!“. მაგრამ ფარაონს მაინც ვერაფერი შეაგნებინეს.

ამას შემდეგ მოსეს სიტყვის ძალით ეგვიპტეს დაეცა რაღაც გვარი მწერი; შემდეგ გაჩნდა საქონლის ჭირიანობა: დაიხოცა მრავალი აქლემები, ძროხა, ხარი, ცხვარი, ცხენი და ვირი; მაგრამ ფარაონი ისევ მოუდრეკავი დარჩა.

მოსემ აიღო ნაცარი და ფარაონის წინ ჰაერში აისროლა; ამისგან ხალხსა და საქონელს ტანზედ სულ იარები მოეფინათ. თუმცა მოსე ყველა ამ სასჯელების დაწყობისა და გათავების დროს დანიშნავდა ხოლმე, მაგრამ ფარაონს მაინც არა სწამდა, რომ ეს სასწაულები ღვთისაგან იყვნენ მოვლენილნი და ამის გამო ისევ თავის სიტყვაზედ იდგა.

მოსემ ასწია ზევით თავის ყავარჯენი და ამისგან ისეთი ჭექა-ქუხილი და სეტყვა-ნიაღვარი მოვიდა ეგვიპტეში, რომ იმის მსგავსი თვით ეგვიპტის დაარსებიდგან არავის გაეგონა; სეტყვამ მრავალი ხეები დალეწა და რა საქონელსა და ხალხსაცკი მოასწრო გარეთ—სულ ერთიან დახოცა. მაშინ ფარაონმა მოსესა და აარონს საჩქაროდ მოუწოდა თავისთან და უთხრა მათ: „ცოდვილი ვარ.. ევედრეთ ღმერთს, რომ მოსწყვიდოს ეს ჭექა-ქუხილი.“ მაგრამ ფარაონმა არც ეხლა აასრულა თავისი სიტყვა.

ახლა ასტყდა სამხრეთის ქარი და თან კალია მოჰბერა ეგვიპტეს; რაც კი სეტყვას და ნიაღვარს გადარჩენოდა—სულ ამათ შემუსრეს. ფარაონმა კვალად სთხოვა მოსესა და აარონს: „ეს ერთი შეცოდებაც მაპატიეთო.“ მაშინ უფალმა დაუბერა დასავლეთის ქარი და კალია სულ წითელ ზღვაში ჩაყარა. მაგრამ ფარაონმა ეხლაც უწინდებულად მოატყუა მოსე.

მოსემ აღახვნა ხელნი თვისნი ზეცას და მაშინ მთელ ეგვიპტეს წყვდიადი მოეფინა: სამ დღეს ეგვიპტელებს არ უნახავსთ ერთმანერთი და არც თუ ვინმე ამდგარა ქვეშსაგებიდგან. გესემის მიწაში კი, სადაც ისრაელნი სცხოვრობდნენ, ჩვეულებრივი სინათლე იდგა. მაგრამ ფარაონი ჭკუაზედ არ მოვიდა და უფროც განძვინდა: გაჯაერებულმა გააგდო მოსე და უთხრა: „გამეცალე და მიფთხილდი არა გნახო, თორემ სიკვდილით დაგსჯიო“.

---

## სხვა და სხვა მძეხვების შენახვა.

**სოფლური მძეხვი.** ათი გირვანქა ძროხისა ანუ ხარისა, ათი გირვანქა ღორის ხორცი უქონოთ ჩადევით ვარცლში ანუ თაბახში. სატყეპელით ბეგვეთ, ამდენი რომ ხორცი გაწითლდეს. მერე დაკეპით წვლილად. მერე მოიღეთ თორმეტი გირვანქა ქონი ღორისა წვლილად დაჭრილი, ერთი გირვანქა მარილი, მისხალ ნახევარი გვარჯილა, ექვსი მისხალი პილპილი დანაყილი, სამი მისხალი მიხაკი, ესენი მოაყარე ხორცსა და ერთ დღე და ღამეს იყოს მარანში ცივად. მერე გატენეთ მომზადებულს წელებში.—ამისი ჩადება მაშინით ძალიან ადვილი არის.—ქალაქში აკეთებენ მაშინას, სულ მანათ ნახევარი არა ჯდება.

### ხორცის მძეხვი.

ღორის ღვიძლი და ფილტვი, გული, თირკმელები, ენა და კისრის მსუქანი ხორცი—ესენი წვრილათ დაკეპეთ, მოუმატეთ ღორის ქონი, უყავით მარილი, პილპილი, მიხაკი და ნიორი, ცოტა სისხლი ღორისა დაასხით, აურიეთ და გატენეთ წელებში. ერთი წამოადუღეთ, მაგრამ ეს მძეხვი დიდხანს არ შეინახება.

### სხვა და სხვა ხორცის მძეხვი.

მოიღეთ ოთხი გირვანქა ხარის ან ძროხის და ღორის ხორცი დასჭერით წვლილად, უყავით 27 მისხალი მარილი, 9 მისხალი მსხვილად დანაყილი პილპილი, ლიმონის ქერქი დანაყილი ცოტა. ორი გირვანქა ღორის ქონი და ამით გატენეთ წელები.

### იტალიანური მძეხვი.

დასჭერით წვლილად სამი გირვანქა ხორცი ხარისა ანუ ძროხისა, 5 გირვანქა ღორისა. ორი გირვანქა ღორის ქონი, დააყარეთ 6 მისხალი პილპილი, ორმოცდა ხუთი მისხალი მარილი. გატენეთ მით წელები.—ეს მძეხვები კვამლში გამოიყვანეთ ცოტად.

### ჰოლლანდიის მძეხვები.

ღორის ხორცი დასჭერით წვლილად, უყავით მარილი, სხვა და სხვა სუნნელოვანი მასალები, დანაყეთ ფილში ეს ხორცი და გატენეთ წელები.—მერე მოხარშეთ წყალში მარილი, ამდენი მარილი უნდა, რომ კვერცხი ჩააგდოთ არ დასძიროს, ამაში ჩააწყეთ მძეხვები. ექვს თვეს კარგა შეინახება.—

### ფრანციცული მძეხვები.

მოიღეთ ღორის ფილტვი, და კუჭს ტყავი

აძრეთ, მოხარშეთ და დასჭერით წვრილად, დაუმატეთ რამეში დამბალი პური, და გახეხილი საცერში სხვა და სხვა მასალები, აგრეთვე უყაეით წვრილად დაჭრილი ხახვი ერბოში მოხრაკული, ის აურიეთ ღორის სისხლში და გატენეთ წელები. ცოტა მოხარშეთ ეს მძეხვები, იმავე წვენში სადაც იხარშებოდა კუჭი და ფილტვი.

### ღვიძლის მძეხვი.

ღორის ღვიძლი მოხარშე წყალში. როცა გაცივდება, გასრისე ხრენის საფხეკზედ, მასთანავე წვრილად დასჭერით ღორის ფილტვი, კისრის ქონი და ნაწილი კუჭის, მოუმატეთ თეთრი პურის გული, ეს ხორცები ღორის ქონით დანამეთ (აზილეთ) გატენეთ წელები, მოხარშეთ ცოტა ეს მძეხვი და მთელს ზამთარს შეინახება.

---

**ზუგდიდიდგან, 19 მარიამობისთვეს.**

სამეგრელოს ჯერ მე შინაურულათ არ ვიცნობ და არცა მქონია ჯეროვნით ამისთვის მოცალეობა. სამსახური, რომელიც დღეს მე მაქვს, სრულებით არ მაძლევს ჯეროვნით მოცლას. ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ოთხი—ხუთი დღე ზედი-ზედ დილის რვა საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდინ არ გამოვდივართ სამსახურიდამ. იანვრიდამ, როგორც გვესმის მოგვემატებენ ლონისძიებას და მაშინაც არის თუ მოგვეცა დროება, ვეცდები შინაურულათ მოკლეთ გავიცნო სამეგრელო და ვაცნობებ მკითხველებს მეგრელების ცხოვრებას და იმათს მდგომარეობას. ამას კი ვიტყვი, რომ ცივილიზაციისა, რამდენიც გავიცან ეს ქვეყანა, სამეგრელოს ჯეროვნით არა მიჰკარებია რა. ეხლა რაც რუსის მმართებლობა შემოვიდა აქა, იმედია მცირეც არის გააცნოს აქაურობას სწავლა და მოქალაქეობა. მეგრელების ნიჭიერებაზედ იჭვი არ არის; სადაც კი მეგრელი იგრძნობს, რომ ესა და ეს საქმე ჩემთვის საჭიროაო, ის ადვილათ ითვისებს ყოველს სასარგებლო საქმესა. ნიჭიერებასთან ამათ არც მხნეობა და არც გაბედვა აკლიათ, მაგრამ ამაზედ შემდეგში ვილაპარაკებ, როდესაც უფრო გავიცნობ ამ ხალხსა. ეხლა ვილაპარაკებ ჯეროვნით იმაზედ, რასაც ყოველ დღე ვხედავ აქა.

რასაკვირველია, უწინდელი სამართლის მდგომარეობა, როგორც სხვა ყოველს ადგილას ჩვენს სახელმწიფოში, არ აკმაყოფილებდა მეგრელებსაც. ესენი ვერ შერიგებოდნენ იმ მდგომარეობას, სადაც ხუთი მანეთის საჩივარზედ ხუთი წელიწადი უნდა მომცდარიყო, ხუთი თუმანი ზედ დაგედო და კიდევ კმაყოფილება ვერ მიგეღო. ამისგამო, როგორც თვითონვე ლაპარაკობენ, ისინი მოუთმენლათ ელოდნენ ახალს სამართალსა და ახალი სამართალიც აგერა კარს მოადგათ. უნდა გაჩვენათ, რამოდენა ზვინი აწევს ყოველ დღე დილიდამ საღამომდინ მომრიგებელი მოსამართლის კარსა. რა რიგი მოჩივარი გინდა აქ არის. ვახსებითი ბარათებით გინდა, ქურდობაზედ გინდა, ტყვეობის გასყიდვაზედ გინდა, რაზედ გინდა რომ აქ არ არის მოსული მოჩივარი. მაგრამ ამ ამბავმა, რომ სამართალი მალე გამოდის და ყოველ რიგ საჩივარს კმაყოფილება ეძლევაო, გაალვიძა ამ გამოუცდელს ხალხში სურვილი იმ გვარის საჩივარებისა, რომელსაც კვლავ ვერ გაჰბედავდნენ და რომელშიაც თავის სიმტყუნეს თითონვე ჰხედავენ. „ერთი ბედს მაინცა ვცდითო!“ ამბობენ ისინი. ამითი, რაღა თქმა უნდა, უბევრებენ მომრიგებელ მოსამართლეს საქმესა, სცდებიან თითონაც და აცდენენ სხვებსაცა. მაგრამ, მე რომ აქ ეს ხშირათ სამართლის დროს პატიოსნებას შევხვედრივარ დაბალს ხალხში, ეს არაოდეს სხვაგან არ მინახავს. მაგალითათ, ერთმა გაკეთებულმა მოძლვარმა უჩივლა ბარათით ერთ მოხუცებულ საცოდავ ღარიბ გლეხ კაცსა. ეს ბარათი ჰქონდა ამ მოძლვარს ათ თუმანში მიცემული ამ ერთი ოცდა თხუთმეტის წლის წინათა; თავნი და სარგებელი იყო შემდგარი სამოც თუმნამდინ. ბარათი იყო შინაურულათ დაწერილი და ხელის მოწერის მაგიერათ გლეხ კაცს ბოლოზედ ჯვარი დაესვა, რათგან წერა არ სცოდნოდა. მოწმები ამ ვალის აღებისა არც მოძლვარსა ჰყვანდა და არც ბარათში ვინმე იყვნენ მოხსენებულნი. გლეხ კაცმა გამოაცხადა, რომ ეს ბარათი სწორეთ იმისი მიცემულია და თუმცა მოვალე იყო აქამდინ გაესტუმრებინა მოძლვარი, მაგრამ ულონობის გამო ვერ გაისტუმრა და საჩივლელათ საქმე გაუხადა.

— შეგიძლიანთ სულ თავნისა და სარგებლის გადახდა?—ჰკითხა მომრიგებელმა მოსამართლემ.

— თავნს, როგორც იქნება, გადუხდი, მაგრამ მაგოდენა სარგებლის გადახდა, ცოლშვილს თუ გავყიდი, თორემ სხვაფრივ კი შეძლება არა მაქვს,—უპასუხა გლეხმა კაცმა.

— მაშ სთხოვეთ, რომ გაპატიოთ მოძლვარმა ზოგი სარგებელი მაინცა.

გლეხ კაცმა დაუწყო ღრეჯა და ხვეწნა მოძლვარსა, რომ რამოდენიმე სარგებელი მაინც ეპატიებინა. გლეხკაცის სიტყვებმა და ხვეწნამ მოიყვანეს გრძნობაში ყოველი იქ მყოფნი; მაგრამ მოძლვარი გროშს არ უკლებდა. მოძლვარი გაიხმეს რამდენმამე პირმა ჩასაგონებლათ, მაგრამ ვერაფრით ვერ მოდრიკეს. ბოლოს სთხოვა თვით მომრიგებელმა მოსამართლემაც, რომ მცირე სარგებელი მაინც ეპატიებინა, რათგან თვით გლეხიც პატიოსნურათ ექცეოდა იმასა. მოძლვარმა არც ამის სიტყვებსა სცა პატივი.

გლეხ კაცი გაიხმეს განზედ და უთხრეს, რომ უარი ეთქვა ვალზედ, რადგან ბარათს კანონიერი ხნიერობა გასული ჰქონდა.

— არა, უპასუხა იმათ გლეხმა:—მე მაგან სიკეთე მიყო, ჩემს გაჭირვებაში ხელი გამიმართა და ახლა თავისას როგორ დაუჭერ!

— კანონი გაძლევს მაგ ნებასა,—ეუბნებოდნენ ისინი გლეხ კაცს.

— ვერა, შენი ჭირიმე, ჩემს სულს ვერ გადუდგები; სულ რომ ტყვეთ გამყიდოს, უნდა თავისი ვალი გადუხადო.

ამ გვარს პატიოსნებას ხშირათ შევხვდებით აქაური სამართლის წარმოებაში. მაგრამ ცრუ მოწმობა და ფიც ქვეშ სიცრუის ლაპარაკი აქ საქართველოზედ კიდევ უარესია. არის კი აქ რამდენიმე ხატი, რომლების წინაშე ყველა ვერ გაბედავს სიცრუესა. თუ იმ ხატებზედ დააფიცე, მაშინ კი იმედია, რომ უფრო მართალს იტყვიან. და როგორც სამართალშია მიღებული ჯვარზედა და სახარებაზედ დაფიცება, ეს ამათთვის ბევრი არა ფერი. მოვიყვან ერთს მაგალითსა.

მე მქონდა ერთი საქმე გამოსაძიებელი, სადაც ჯეროვნით მოწმებისთვის უნდა მეკითხა უფიცრათ.

ერთ მოწამეს ჰკითხა ბრალდებულმა.

— შენ შეგიძლიან ფიც ქვეშა სთქვა ეხლა, რასაც ჩემზედ ამბობო?

— დიახაცა და შემიძლიან,—უპასუხა თამამათ მოწამემ.

— როგორ დაიფიცამ?

— ჯვარსა და სახარებაზედა.

— არა, ჯვარსა და სახარებით კი არა, ყულის კარის ხატზედ.

— ყულის კარის ხატზედ სხვას როდი აფიცებენ, რომ მე დავიფიცო.

— არა, მე ვთხოვ სამართალსა, რომ ყულის კარის ხატზედ დაგაფიცონ შენა, რადგან შენ ყველაფერი საქმე სწორეთ იცი და ტყუილათ ამბობ.

— მე ჯვარსა და სახარებაზედ დავიფიცავ.

— შფ. გამომძიებელო! — მთხოვა მე ბრალდებულმა: — გთხოვთ ჩამოართოთ ჩვენება: შეუძლიან დაიფიცოს ყულის კარზედ იმაზედ, რასაც ჩემზედ ამბობს?

მე ვკითხე.

— თქვენის კანონით დავიფიცავ.

— არა, ყულის კარზედ.

— იმაზედ ვერ დავიფიცავ.

მოდი და ახლა ენდე აქ მოწმებსა!

საუბედუროთ არც აქაური ხალხია ამცდარი კლიაუზნიკობას. რასაკვირველია, პროტესტი კარგი საქმეა. მაგრამ იქ პროტესტი გასაკითხავი არ არის, სადაც ერთი და ორი პირი თავისის სარგებლობისთვის აგონებენ სიცრუესა და აბრიყვებენ გამოუცდელ ხალხსა. კლიაუზნობას აქ ხშირათ ერთმანერთშიაც შეხვდებით. ძალიან ცდილობენ ზოგნი, რომ ახალი კანონების სუსტი მხარეები შეიტყონ და ამითი ისარგებლონ თავის კლიაუზნობასა და ცრუ საჩივარებში. ერთი ორიოდე მასხარულ საჩივარს მოვიტან აქა, საჩვენებლათ, თუ სადამდინ არის აქ სიყვარული ცრუ საჩივრისა და საზოგადოთ სამართლის კარზედ დგომისა. მივიდა ერთი გლეხკაცი და გამოაცხადა ერთს ხატსა და ერთს კაცზედ საჩივარი.

— სქენი ჭირი პატონი! — დაიწყო მეგრელმა: — ერთი მიწა მქონდა ამა და ამ კაცთან სადაო და მამაჩემმა შეიფიცა ის მიწა ამა და ამ ხატზედა. ამის უკან მამაჩემმა დაიწყო ავათმყოფობა. ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ ეს იმ ხატისაგან მოუვიდა მამაჩემსა, რომელზედ მიილო მიწის ფიცი. რაკი მამაჩემი ძალიან ავათ გახდა, მაშინვე მიწა პატრონს დაუბრუნა და ფიცი უკან შევიბრუნეთ, მაგრამ მამაჩემს არა ეშველა რა და მოკვდა. ახლა არ ვიცი ვისა ვთხოვო ან მამაჩემი, ან მიწა, პატრონს რომ ფიცის ასახსნელათ უკან დაუბრუნეთ. პატრონმა კი აგვხსნა ფიცი, მაგრამ ხატმა, ეტყობა, აღარ შეიწყნარა. ამაზედ ერთი სამართალი ჩემთვისაც გაიმეტე, შენი ჭირი შემეყრება, — დაასრულა მეგრელმა.

მოდი, თუ გიყვარდე, და ხატზედ სამართალი მიეცი ამასა!

მეორე მაგალითი.

მოვიდა ერთი მოხუცებული თავადი-შვილი და ერთ ყმაწვილ კაცს თავადიშვილს და ისიც თავის ცოლის ძმაზედ გამოაცხადა საჩივარი. სხვათა შორის უჩიოდა, რომ იმას ჩემი ტამბაჩის ფული ოცდახუთი მანეთი მართებს აგერ ათი წელიწადია და არ მაძლევსო. ეს ტამბაჩაზედ საჩივარი რომ გამოუცხადეთ ყმაწვილ თავადიშვილს, იმან ღრეჭა და სიცილი დაიწყო, და თან მორცხობდა ამის პასუხის გებასა.

— ნუ გამალანძღვინებთ თავს ამოდენა ხალხში, — დაიწყო იმანა, რაკი დაატყო, რომ პასუხს აღარ ეშვებოდნენ.

— თუ არა გმართებთ თქვით თქვენი სიმართლე; თუ გმართებთ და ეგეც შეგვატყობინეთ.

— არა მმართებს თქვენმა მზემა.

— თუ არა გმართებთ, წარმოადგინეთ თქვენი სიმართლე.

— ამოდენა ხალხში რავა ვთქვა ჩემი თავის გალანძღვა, — დაუწყო კიდევ ღრეჭა ყმაწვილმა თავადიშვილმა.

— თუ არ იტყვით და იკისრეთ მაშ ეგ ვალი.

— აჰ! რავა ვიკისრებ, მაგ ტამბაჩას კინაღამ თავი ზედ დავადე. მოგახსენებ როგორც იყო. ეგ ჩემი მოჩივარი გახლავთ ჩემი დის ქმარი. მე ვიქნებოდი ესე თექვსმეტ — ჩვიდმეტის წლისა, რომ ერთხელ ვეწვიე მაგას სტუმრათ. ყმაწვილი ვიყავ მაშინ, მა რა ვიყავ! ჩემს გარდა მაგას ჰყვანდა კიდევ სხვა სტუმრებიცა. გაგვიმართა კარგი ვახშამი და ძაან დაგვიხვედა. აბა იფიქრეთ, ყმაწვილი კაცი, გზაზედ დამშეული, და რა რიგ მივაძლებოდი მე იმისთანა ვახშამს! ავდექით ვახშმიდამ და შემოიტანა ერთმა გლეხ კაცმა ერთი უშველებელი დიდი კეცის მჭადი ცხელ-ცხელი. იმასხარა სახლის პატრონმა, ჩემმა სიძემ, რათგან იცოდა, რომ სტუმრები ძაან გამაძღრები ვიყავით მაგის მაინძლობით. „ვინც კაი კაცია, — სთსვა მაგან, — და ეხლა შესჭამს ამ მჭადს. ჩვენ, რაკი გამაძღრები ვიყავით, ყველანი გავჩუმდით. „ამ ჩემ ფისტოს *) მივცემ, ვინც ამ მჭადს შესჭამს“, დაიწყო კიდევ მაგან. რაკი გავიგონე ფისტოს გაცემა, ვიფიქრე: თავს არ მოვიკლავ, რომ ეგ ფისტო არ მოვიგო — თქო. აპა, ყმაწვილი ვარ, ტვინი მიმღერის, იარაღი და ცხენი ქვეყანას მირჩევნიან; ამ ტამბაჩისათვის ანთებულ ცეცხლში ჩავარდები და ამ მჭადს ჩემი ცოცხალი თავით რავა არ შევჭამ, რაც უნდა დამემართოს. „კარგი — თქვა, ვუთხარ მე მაგას, — და მე შევჭამ თქვა მაგ მჭადს.“ — თუ შესჭამ — მითხრა მაგან — და ეს ფისტო შენთვის მომიცია, თქვა. „დაუწყე მჭადს ჭამა. შენ მტერს ის დღე, რავაც მე ამ მჭადმა მომაყენა. ვჭამ მჭადს, რავაც შემიძლიან, და არ თავდება. ვატან თავ ძალას, ვუმატებ ჭამას და მჭადს ბოლო არ აქვს. აჰ, შენ მტერს! მინდა ქე დავანებო თავი მჭადს, მარამ ფისტო რავა გამახსენდება, ვიწყობ ისევ ჭამას. ჭირის ოფლი მადგება, ეგენი მხედავენ, იცინიან, მარამ მე ფისტოს სურვილით მჭადს მაინც თავს არ ვანებებ. ბოლოს, რავაც იყო დავერიე მჭადს და მაგან მამცა ეს ტამბაჩა. მას აქეთია მე მაქვს, ეგ აქანამდის არ წამომდავებია და ახლა რავა უკადრნია ეგ, მე არ ვიცი!

*) ფისტოს ტამბაჩას ეძახიან აქა.

ბოლოს მოწმებმაც დაამტკიცეს ამ ყმაწვილის სიტყვები.

— არა, ბატონო, — გაასწორა მოჩივარმა: — მე ვიყავ მჭადს მთლათ გარიგებული და მაგან მთლათ არ შეჭამა. ეგ განგებ ჰფხვნიდა მჭადს და ნაფხვენებს აბნევდა, რომ შესაჭმელი უფრო ცოტა მქონდესო. თვარა ეგ იმოდენა მჭადს ნავახშმევი რავა შესჭამდა, და ფისტო ტყუილა წეიღო.

ამ გვარს, თან მასხარულს და თან უსაფუძვლო, საჩივარს ხშირათ შეხვდებით აქა.

ხშირათ შეხვდებით აქ კიდევ იმგვარს საჩივრებს, სადაც ერთი მეორეს უჩივის, რომ მე მაგას ჩემი ჭაკი ცხენებისთვის ულაყი ცხენი ვთხოვე, მაგის ულაყი ცხენი ჩემ ჭაკ ცხენებს არ გამოადგა და კვიცებს კი მედავებაო.

უბრალო საჩივარი და საზოგადოთ ჩივილის სიყვარული არის ძალიან გავრცელებული აქა. ბევრს იმისთანა პირებს შეხვდებით აქა, რომელთ, რაც ახალი სამართალი დაწესებულა თითქმის ყოველ დღე სულ ახალ-ახალის საჩივრით შემოდიან და ძნელათ კი თუ ვისმე საქმეში მართალნი გამოვიდენ. თუ თითონ საქმე არა აქვთ, ისე მაინცა კუნტიან სამართლის კარსა. აქაური ხალხის საჩივრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულზედ მაგონდება სიტყვები ერთი მეგრელისა, რომელიც ამან უთხრა ერთს ჩემს მეგობარს პასუხათ იმისა, რომ სწავლა, სწორეთ საჭიროა.

სტაელა რავა არ არის საჭირო: სტაელა რომ ჰქონდეს კაცს, სხვას კი აღარ შევეხვეწება არძა დამიწერეო. სუყველა მაშინ თვითონ დასწერდა არძას და არძაში ფული აღარ გაუვიდოდა.

ან. ფურც.

---

### მარგალიტის სადაფების ჭერა კალიფორნიაში.

რა მშვენიერია კალიფორნიის ზღვის ტოტი! ნიადაგ მოწმენდილი ცა, ლაჟვარდის ფერი წყალი, რომელსაც ხშირად არხევენ მხიარულნი ზღვის ვეშაპნი, აძლევენ იმას საკუთარს სიტურფეს. მომხიბლავენი არიან გრძელნი მშვენიერნი დღენი ნიადაგ თბილის ზაფხულისა.

ზღვის ტოტს შუა ამაღლდებიან მწვანენი, როგორც ზურმუხტნი, კუნძულნი, რომლისაც კიდეებზედ მოსვენებით ჰსცხოვრებენ ნავენი და ზღვის მატლნი.

ხოლო მცენარე და ამპარტავანი სადაფი კი თბება იქ მზეში. ცოტა მოშორებით ზღვის ტოტის ძირზე აწყვიან ხროვანი სადაფებისა, რომლისაცა საუნჯით შეიძლება მორთეა რამდენიმე ევროპის კაროლევასი. დილით სასმენელი ტკბება შრიალით ინდის ხურმის ხეთა, რომელნიცა სდგანან წყლის პირის ჩაყოლებაზედ, და სალამოთი, შემდგომ გრძელისა დღისა, თვალს წარმოუდგება წინ მშვენიერი სახე ცისა და ჩასვლა მზისა. მე შემხვდა ერთხელ ცხოვრება რამდენსამე თვესა იმ წყლის კიდეებზედ, რომლის მდიდარმა ბუნებამ, აწარმოა ჩემში საკუთარი გრძნობა; ის იყო ისეთი ძლიერი, რომ, მგონია, არაოდეს აღარ ამოიფხვრას ჩემის გონებითგან.

ქვენა კალიფორნიაში ას მილზედ ტყის შესავლისა ჰსდგას ქალაქი ლაპაზი. ამ ქალაქში ჩყმზ წელსა იდგა ერთი რაზმი ამერიკის სალდათებთა.

ეხლანდელი ქალაქი არის იმ ადგილს, სადაც პირველად გავიდა კორტესი მეხიკის დაპყრობის შემდგომ, საპოვნელათ აქ აღმოსავლეთზედ ახალთა ძვირფასეულებათა, განსაშვენებლათ ისპანიის გვირგვინისა. ჩვენ შევექცეოდით აქა სალდათების თამაშობით, ვიჭერდით კუ და ლოკოკინებსა, ვაგროვებდით სადაფებსა, ვსჭამდით ყურძენსა და სხვა მშვენიერს იქაურს სხვა და სხვა ხილსა, ვსტკბებოდით მშვენიერის გიტარის ხმით და ეგრეთვე ისპანიელების სიმღერით, რომელსაც ისინი თავმოყრილნი დიდის ვეის ხის ქვეშ მღეროდნენ

ბოლოს დაღალულნი ერთ გვარის ცხოვრებით, ჩვენ ოთხმა კაცმა მივეცით ერთმანეთს პირობა წავსულიყავით მარგალიტის სადაფების საჭერათ სანლორენცოში.

ის ქალაქი არის ლაპაზზედ მოშორებით ოც მილზედ. დღე იყო ძრიელ წყნარი და ამიტომ დაუცადეთ სალამოს, ვინემ ამოვიდოდა სუბუქი ნიავი, რომელსაც უნდა გავეთავისუფლებინეთ ნიჩბების მოსმის შრომისაგან. მოვამზადეთ ერთი ბოჩკა წყალი, მოხარშული ღორის ხორცი, ხმელი ლელვი და სულ ახალი მოწყვეტილი ლიმონები. როგორც ჩავიდა მზე, ჩვენ გავიხადეთ მუნდრები, ავიხადეთ ეპოლეტები და ხმლები, რომელშიაც ჩვენ რამდენსამე საათის წინეთ ვიყავით გამოჭიმულნი პარადზედ. თვითეულმა ჩვენგანმა გაიდო მხარზედ თოფი და ამ გვარათ ჩავსხდით ნავში და წავედით. ღამე იყო ისეთი მშვენიერი, როგორც ხშირათ არის ხოლმე ქვეყნად კალიფორნიაში: მოწმენდილი ცა იყო მოჭედილი ვარსკვლავებითა, შარავანდედზედ ქრებოდნენ უკანასკნელნი შუქნი მზისა, ჰაერი იყო სავსე კეთილ სურნელებით თბილის ბუნების ყვავილებისა. დაბინდებისას გადუხურა ზღვის ტოტს სხვა ცა, მოჭედილი ვარსკვლავებით და განათლებულის მთვარეთი; წყალზედ ბრწყინავდნენ მილიონი ფოსფორის ცეცხლები, ზურმუხტის ფრათ, ზღვის პირზედ ცოტა მოშორებით დავინახეთ ჩვენ ცეცხლის სინათლე, და რადგანაც ნიავი ჩავარდა და ვიცოდით რომ ვერ მივაწევდით იმ ღამეს სანლორენცომდინ, ჩვენ გაუხვიეთ იმ ცეცხლისაკენ.

როდესაც გავედით წყლის ნაპირსა, ვნახეთ იქა ჩვენ ორი თითქმის შიშველი ინდოელი, რომელნიც იმზადებდნენ ვახშამსა, შემდგომ მთელის დღის მარგალიტის სადაფის ჭერისა; ჩვენც გავიტანეთ ნაპირზედ ჩვენი ნავი, ავანთეთ ცეცხლი, მოვადუღეთ ყავა, მოვსწვით ჩიბუხები. ვავიშალეთ ძირს ჩვენი ბეწვის საბნები და დავებარგეთ მეორე დილამდინ.

კალიფორნიის სადაფების მჭერელნი ეკუთვნიან იმ ინდოეთის შთამოებას, რომელთაც არა აქვსთ ერთს ადგილს დამყარებული ცხოვრება; მთელს დღეს ისინი ატარებენ წყალზედ და ღამე წყლის პირათ.

მზის ამოსვლიდამ იმის ჩასვლამდინ დასცურვენ ისინი ზღვის ტოტში, და არიან ფრთხილნი, რომ არ გაალვიძონ ის სადაფები, რომელთაც ჰსძინავთ წყალზედ. იმათ დასაჭერათ ისინი ხმარობენ მოკლე კეტსა, რომელსაც აქვს დაკრული რკინის კავი, როდესაც იმას დაჰკვრენ კუს, ისე ღრმათ ჩასმენ იმას იმის ზურგში, რომ მერე ძნელი ამოსაღები შეიქნება ხოლმე.

შეჭურვილნი ამ იარაღებით, ჰსცურვენ ისინი მდუმარენი იქამდინ, ვინემ დაინახავდნენ სადაფსა: მაშინ მიეპარებიან, ჩუმათ დაჰკვრენ კავიან კეტსა და მიათრევენ საცოდავს ცხოველს წყლის პირსა, მაშინ როდესაც ის იქნება იმ დროს იყო ტკბილს ძილში. იქ მოაცლიან იმის ძირის პერექლსა, რომლისაგანაც აკეთებენ იმ მშვენიერს ტურფა ქალების კავებსა. საწყალი ზარმაცი კუ, თუ რომ იმათთვის არსებობდეს გარდასახლება სულისა, მაშინ ისინი დასწყევლიდენ იმ დღეს, როდესაც იმათ ისე მოსვენებით და მოულოდნელად უბედურობისა, სძინავთ კალიფორნიის კამკამს ზღვის ტოტის წყალზედ!

კუს პერექლი უწინ იყო დიდი საგანი აღებმიცემობისა, მაგრამ იმას აქეთ, რაც იანკებმა მოიგონეს სხვა და სხვა ახალი ნივთები, ლამაზი კუს სავარცხლები ამერიკელებს შორის გარდავარდა მოდიდგან და ახლა უმეტესი ნაწილი ამ სავაჭროსი მიდის ევროპაში.

ვამოძიების შემდგომ ჩვენ შევექეცით კარგათ ღორის ხორცსა, დავლიეთ ყავა და ვისარგებლეთ დილის ნიავით, რომ დროზე გაგვევლო სანლორენცოს მახლობელი ქვიშიანი ადგილი. იქ წყლის პირს ვნახეთ ასამდინ ინდოელი, რომელთაც ტანისამოსი შესდგებოდა ფესტამლიდგან, რომელიც ჩაშვებული ჰქონდათ კოჭებამდინ; დანაშთენი ნაწილი სხეულისა ჰქონდათ შიშველი. ისინი იყვნენ მოგროვილნი იმისთვის, რომ წასულიყვნენ კუს ანუ სადაფის საჭერათ. იმათ დაგვიწყეს ჩვენ თხოვნა იმ სასმელისა, რომელიც ათრობს კაცსა, და კეთდება იმ მცენარისაგან, რომელიც ამოდის იმ მხარეს, და ეწოდება მასკალი, და რომელიც იმათ ძრიელ უყვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ჩვენ აღარა გვქონდა ის სასმელი, მაშინ ჩვენ უთავაზეთ იმათ დანარჩენი ჩვენის ლიმონები'ა.

ჩვენ ვიყავით ნაცნობი იმათის უფლისა, რომელიც სცხოვრებდა ოდესმე ლაპაზში, მიტომ ადვილათ ვიშოვენეთ ექვსი კარგი მცურავი ანუ წყალში მძრომი და იმ კაცებით ჩვენ ხელახლა მივცურავდით პარუსის ქვეშ პირდაპირ კუნძულისაკენ, რომელსაც ჰქვიან წმინდა სული. ჩვენ უკან მოგვდევდა ორი ნავი, თვითეულში იჯდა ხუთი წყალში მძრომი კაცი. ჩვენ გაჩერდით შუა ზღვის ტოტში, სადაც გვინდოდა შეკრება მარგალიტის საუნჯისა. თხუთმეტ წამზედ მივედით დანიშნულს ადგილზედ; წყალში მძრომნი მომზადნენ სამუშაოთ. ისინი გატიტვლდენ, და ჩვენ კი ჩვენი ნავიდგან უგდებდით ყურსა, ყოველს მუშას ეჭირა თითო ჯოხი იმ მაგარის ხისა, რომელიც იქ იზდება და უძახიან ტკინის ხესა. ის ჯოხები, წვეტიანნი ორივეს პირით, მსახურებენ იმათ, როგორც ასაგლეჯათ კლდეებიდამ სადაფებისა, ეგრეთვე დასაცველად თავისა საშინელის მტრისაგან, რომელსაც ჰქვიან ნათელ-თევზა (აკულა). შეჭურვილი იმ ჯოხით ერთი მუშათაგანი დადგა ზედ ნავის ბოლოზედ, დაიწყო რაღაცა სიმღერა, იმისთვის რომ გაევსო ჰაერით თავისი ფილტვი; ბოლოს ჩაიყურყუმალა წყალში და, მსგავსად ბაყაყისა, ცდილობდა სულ უფრო და უფრო ღრმათ ჩასულიყო, და მართლა ბოლოს დაიდა ძირზედ. სხვებიც შეუდგნენ იმის მაგალითსა და იმ გვარი ყურყუმალობა წყალში შეიქნა მოუწყვეტელი, ასე რომ ინდოელნი თავისის შავის ელვარის ხორცით იმ წუთში ჰგავდნენ ჯოგსა ზღვის ღორებისას, რომელნიც ხშირად თამაშობენ ოკეანის სიღრმეში.

თუმცა ზღვა, სადაც ჩადიოდნენ ის მუშანი, იყო თვრამეტის ფუტის სიღრმისა, მაგრამ წყალი იმისი იყო ისეთი ანკარა, რომ სჩანდა ძირი იმისი მოფენილი სადაფებით. ჯოხებით გლეჯდენ იმათ კლდეებიდგან და ამოდიოდნენ ზევით სავსე ხელებით; იმათ ჰყრიდნენ ნავეში და შემდგომ მცირედის დასვენებისა ჩადიოდნენ ისევ წყალში; ზოგს სადაფის მაგივრათ ამოჰქონდა სხვა რამე ზღვის მცენარე. ერთმა მოხუცმა მუშამ დაიჭირა პატარა ცოცხალი ნათელ-თევზა, ამოიყვანა ზევით და ჩვენ შესაძრწუნებლად ჩამოგვიგდო ნავში.

ერთის სიტყვით ჩვენ გვედგა თვალწინ მშვენიერი სურათი: ასი ჩვენი ნეგრი სცვიოდა წყალში, თამაშობდა შიგა, სდებდა სანაძლეოს, თუ რომელი იმათგანი უკეთესად ჩახტებოდა, ანუ ვინ უფრო ღრმათ ჩაიყურყუმელავებდა წყალში, მიზიდულნი იმათის ყვირილით, სიმღერით, ყურყუმელით, კინაღამ ჩვენც გავბედეთ ჩახტომა წყალში.

წყალში მძრომნი პირველს ჩახტომაზედ ჩადიან ძირს ექვს ფუტზედ, მერე უმატებენ თან და თან, ასე რომ ისინი რჩებიან წყალში სამს წამამდინ. შემდგომ ორის საათის მუშაობისა, ჩვენ ხელახლა აუშვით იალქანი და გავეშურეთ წყლის კიდისაკენ. ჩვენმა მცურავებმა წყალში დაიჭირეს სამას სადაფამდინ; სხვებსაც იმ გვარი წარმატება ჰქონდათ.

ჩვენ სხვათა შორის ღირსნი შევიქენით პატივისა მიგვეღო ჩვენს ნავებში სანლორენცოს წყალ'ში მძრომთ საზოგადოების უფროსი ანუ ლუბერნატორი, რომელსაც იმაზედ აქვს განუსაზღვრელი მთავრობა ანუ ძალა; ის იყო სამოცის წლისა; იმ წელთაგანი ორმოცდა ათი განეტარებინა იმას სადაფების ჭერაში. ერთხელ მე უთხარი იმას, რომ ამ გვარი საქმობა, ესე იგი ხშირად წყალზედ ცხოვრება არ არის სასარგებლო მეთქი სიმრთელისათვის. ამაზედ ძრიელ გაეცინა იმას და გვიამბო, თუ რამდენჯერ წყალში მძრომელთა შეხვედრიათ ბრძოლა ნათელთევზასთან და რა რიგათ ისინი იმათ ხშირად დაუსახიჩრებიათ და ხან კიდეც დაუღუპავთ. კალიფორნიის ზღვის ტოტის მცხოვრებნი არიან სონარის შტატიდამ და არიან ძრიელ ზარმაცნი და დაუდევარნი. ნახევარს წელიწადს ისინი იჭერენ მარგალიტის სადაფსა და ნახევარს ჩხუბობენ იმათთვის, ვინც იმათ კარგს ქირას აძლევს, და მაშინ ისინი სხვა საქმეებს აღარას მისდევენ მთვრალობისა და ფულზედ თამაშობის მეტსა.

როცა მივედით სანლორენცოში, სულ ყველა მარგალიტის სადაფი გაიტანეს და დააგროვეს ერთათ. მერე გაჰყვეს ორ ნაწილათ, რომლისაგანაც ერთი წილი გარდასდვეს სრულათ თავიანთის უფროსისათვის და მეორე გაჰყვეს იმდენ ნაწილათ, რამდენიც იმას იჭერდა წყალში. როდესაც გაიყვეს ისინი, მოჰყვნენ სადაფების დახსნას. ჯერ დაჰხსნეს თავიანთის უფროსისა და რაც კი იმათში მარგალიტი აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ მიართვეს იმას უკლებლად. ამ კარგის ლომის წილისათვის ის უფროსი ანუ ლუბერნატორი იმათი ვალდებულია იმათი სადაფების ჭერის დროს როგორც ნავებსა ისე სხვა საგძალს აძლევდეს. ინდოელნი განსაცვიფრებელის სიმარჯვით ხსნიან სადაფებსა და სინჯვენ, რომ არ დაჰკარგონ არც ერთი მარგალიტი, რომელიც ხან და ხან ძნელი მისაგნებია სადაფის შიგნეულობაში. მოხდება ხოლმე ხშირად, რომ გახსნან ასი სადაფი, და ვერა ჰპოვონ ვერც ერთი მარგალიტი ღირებული სამშაურათ. უფროსიც იმათი ძრიელ გაფრთხილებულია და უგდებს ყურს მუშებსა, რომელთაც აქვს ის სიყალბე, როგორცა ჰპოვებენ დიდს მარგალიტს სადაფში და შენიშნენ, რომ უფროსი იმათი ყურს არ უგდებს, მაშინვე გადაყლაპვენ. როდესაც გაათავებენ თავისის უფროსის მარგალიტებს, მაშინ შეუდგებიან საკუთარის თავის წილის მოგროვებასა, და როდესაც იპოვნიან თავიანთ სადაფში მარგალიტს იქვე მიჰყიდიან თავის უფროსს: ფასი მარგალიტისა დამოკიდებულია სამს იმის თვისებაზედ: სიდიდესა, მოყვანილობასა და ფერზედ. მარგალიტი, რომელსაც აქვს მოყვანილობა კვერცხისა ანუ მსხლისა, ფასობს ყველაზედ მეტად, და თუ იმასთანავე არის მოზდილი და აქვს კარგი წყალიც, მაშინ იმაში აძლევენ დიდს ფულსა. ზოგიერთი მარგალიტი არის შავი როგორც ნახშირი, მაგრამ წყალი აქვს ყოვლად მშვენიერი. წვრილს და უსწორმასწორო მარგალიტს აასხმენ ძაფზედ და ჰყიდიან შვიდიდამ თექვსმეტ მანეთამდე მისხალსა.

მარგალიტი უწინ ითვლებოდა ძვირფას სამკაულათ, და ახლანდელს საუკუნეში კი ძრიელ დაეცა იმისი ფასი; უმეტესი ნაწილი იმისი მიაქვთ რუსეთში გასასყიდათ. რამდენსამე წლის წინეთ ერთმა ანგლიელმა სახელად ზარდმა გამოსცადა დაჭერა მარგალიტის სადაფისა წყლის ზარის საშუალობით, მაგრამ წარმატება არა ჰქონდა კარგი და დაანება მალე თავი. საკვირველია, რომ აქამომდე ვერ უპოვნიათ სხვა ღონისძიება მარგალიტის ჭერისა, გარდა იმისა, რომელსაც ხმარობენ ინდოელნი.

როცა დაასრულეს თავისი მუშაობა, ინდოელნი დასხდნენ პურის საჭმელათ. იმათი სადილი იყო მოხარშულის მაისა და გახმარის ხორცისაგან შემდგარი; ისინი არწმუნებ-

დნენ, რომ მშიერის კუჭით მრავალგზის უმჯობესია სადაფის ჭერა, ვინემ გამძლარის კუჭით, და ამ სახით ისინი სამს საათამდინ მარხულობენ, მერე სმენ მასკალსა და თამაშობენ შუაღამემდინ.

ჩვენ ვიყავით იქ უკანასკნელს დღეს სადაფების ჭერისასა; ჩვენის წასვლის წინეთ, სულ ყველა თავიანთი ლელწმის ქოხებს მოუკიდეს ცეცხლი, და სადაფის ჭერა დაასრულეს დიდის შექცევით. დაბინდებისას ჩვენ დავბრუნდით ისევ და გავათენეთ რა ღამე უწინდელს ადგილს, მეორეს დილას მოვედით ლაპაზში.

არ გასულა ერთი თვე, რომ ისინივე ინდოელნი, რომელნიც მაშინ ისე მეგობრულათ გვეპყრობოდენ ჩვენ, გვესროდენ შვილდისარსა, გაკეთებულსა ისევ იმავ რკინის ხისაგან, რომელთაც ისინი ჰგლეჯენ კლდიანს ზღვის ძირს სადაფებსა.

---

## სხვა და სხვა ამბავი.

**ჰაერით სიარული ამერიკაში** ნიუ-ორლეანში დიდი ამბავი მოახდინა უ. უილლიზის მოგონებამ, რომელიც მოიყვანს მოძრაობაში ეკიპაჟებს ჰაერით. ერთ ადგილას აქვს ეკიპაჟს ორი რეზერვუარი, სადაც არის ჰაერი, სამყოფი 12 ანუ 13 ვერსტის სავლელათ. როგორც ამბობენ მნახველნი ჰაერით თურმე უფრო კარგათ იძვრის ეკიპაჟი, მინამ ცხენებით. ერთი ახალ-ორლეანის ჟურნალი ამბობს, რომ მოვა ის დრო, როდესაც მოგონება უ. უილლიზისა განაგდებს ცხენების ხმარებას ეკიპაჟში და სამეურნეო მუშაობაშიაო.

**გვალვის მიზეზი—ტყეების გაწყვეტაა.** ერთი ფრანციცული გაზეთი გვატყობინებს, რომ წელს საშინელი გვალვიანი ზაფხული იყო მთელ ევროპაშიაო. ამის თავ და თავ მიზეზად ტყის გაწყვეტა მიაჩნიათ. სამხრეთის ევროპა თითქმის სრულებით მოატიტვლეს; საბერძნეთშია და იტალიაში უწინდელი დიდი ტყეები თითქმის სრულებით გაწყვიტეს, ისპანიაში კი აქამდის თუმცა დარჩა ტყეები, მაგრამ ახლა იქაც ხელი შეუწყე' იმის კაფვას. სადაც უწინ ტყისაგან ჩრდილი იდგა, იქ ეხლა მზის სხივებისაგან გახურებული მინდვრები და ველებია; დასავლეთი სახელმწიფოების სამხრეთი ნაწილები დაემსგავსნენ გაუდაბურებულ აღმოსავლეთის ქვეყნებს, სადაც უწინ მრავალი ტყე და ნაყოფიერი მინდვრები იყო. ალჟირში, იმალაგას სადაც ტყე სრულებით გაკაფულია, ოცდა ათი გრადუსი სიცხე უფრო აწუხებს კაცს, ვიდრე ოცდა თხუთმეტი გრადუსი სიცხე იმ მხარეებისა, სადაც ჰაერი გრილდება დარჩომილი ტყეებისაგან; ამ ალაგას ტყეები იმითი ჰშველიან ნიადაგს, რომ სრულებით არ ახმობენ, ღამე აგრილებენ და ქარსაც აქროლებენ. ტყეების გაწყვეტისაგან სიცხეები დიდხანსა დგას ხოლმე და სიცხეებს შემდეგ ქარიშხალი და სეტყვა მოჰყვება ხოლმე. ერთის სატყვით ტყეების გაკაფვისაგან მთელ ევროპაში ჰავის სითბოს ერთნაირობა დაირღვა, მთებში მოსული წვიმები ჰრეცხენ მთებიდგან სხვა და სხვა მცენარის ფესვებით სავსე ნიადაგს, ხოლო მდინარეები დიდდებიან და მიაქვსთ ნაპირებიდგან ნაყოფიერი მიწა. ამ გვარი წალექვა ყოველ წელიწადს ვრცელდება სამხრეთიდგან ჩრდილოეთისკენ, და ამის გამო საზარელი უფროა, ვიდრე საკვირველი, რომ ხალხი ამ ამბავს გულგრილად უყურებს და სახელმწიფოებიც არავითარ ყურადღებას არ აპყრობენ იმ საქმეს, რომელიც დიდიხანია მეცნიერებამ გამოიკვლია და რომლის თაობაზედაც სასტიკის სახით აფრთხილებენ ხოლმე სწავლულნი.

---

## ეხლანდელი ჭირი.

(მიბაძვა)

ეხლანდელ დროში ყოველ სახლშია,
ყოველ კუთხეში, ჩვენსა ქართლშია,
ისმის ბაასი ბევრს საგანზედა
და მასთანავე რეფორმაზედა!
ბევრნი არიან კმაყოფილები;
და ბევრნი კია—მოწყენილები!
ჯავრობენ ბევრნი—არ ვმალამ ცუდსა—
როს ახსენებენ „მიროვის სუდსა!“

I.

ყმაწვილი კაცი კარგათ მორთული
ზის ოთახშია დაფიქრებული!
როგორღაც ცუდათ მას უცემს გული
და არის ესრეთ დაღონებული!
რა ქნას საწყალმა; არა აქვს ფული,
რომ გაუსწორდეს თავის მკერვალსა!
ხვალ არის სუდში დაბარებული
ამიტომ რომა ვერ იხდის ვალსა!

II.

დიდი ბატონი მოწყენილია!
შეშფოთებული დადის ოთახში!
რა დრო მოვიდა დასაჯერია?—
ბიჭმა უჩივლა მიროვის სუდში!
რა დააშავა? გაჯავრებული
ჩვეულებრ მსახურს წაჰკრა კისერში!
და არის მისთვის დაბარებული
ხვალინდელ დღესა მიროვის სუდში!

III.

ზის ქალბატონი გაანჩხლებული:
საწყალსა მოზდის ცრემლი თვალებში,
ასე გაშინჯეთ, დაბარებული
ისიც კი არის მიროვის სუდში!
მცირე საქმეა, წასვლათ არა ღირს!
(არ აძლევს გოგოს თავის ჯამაგირს)!
ზის იწყევლება თავისებურათ:
უნდა წავიდეს ხვალ სუდში სტუმრათ!

IV.

ამ მოკლე ხანში გოგო, ბიჭები—
არიან უფრო მხიარულები!
ძლივს მათ ეშველათ მოვიდა ის დრო—
როცა არიან განკითხულები!
იმ დღეს მესმოდა პრაჭკა ამბობდა:
„ბატონსა მართებს ჩემი ფულები!
„თუ რომ არ მამცა, როგორც ამბობდა,
„მსწრაფლ წამირთმევენ მე სუდიები!

V.

„გაგიგონიათ თქვენი ჭირ. მე!
(მეუბნებოდა ერთი პირი მე)
„რა დროს მოვესწართ უბედურები!
„გაგვიბატონდნენ ჩვენ მსახურები!
„არ შეგიძლიან მათ ახლო ხელი:
„უწინდებულათ არტყა თავშია:
„და თუ ხელს ახლებ, იმას მოელი
„რომ წაგათრევენ ახალ სუდშია“!
ერთის სიტყვითა, ვისაც შეხვდები,
ყველანი „სუდზედ“ ლაპარაკობენ!
მშვიდნი არიან კმაყოფილები,
მუშტს-მოყვარენი დიდათ ჯავრობენ.
გამოიცვალა მდგმოიარობა:
ჭკუა ისწავლა ეხლანდელ ქურდმა,
და ცემა, ლანძღვა, უპატივრობა—
სულ ამოსწყვიტა „მიროვის სუდმა!“

---

დავით ერისთავი.

1868 წელსა 14 აგვისტოს,

ს. ოძისი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го сентября, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.